ხელშეკრულება სახელმწიფო

შესყიდვების შესახებ №83

ქ. თბილისი 29 აგვისტო, 2019 წელი

ერთის მხრივ, საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა (შემდგომში – „შემსყიდველი“), წარმოდგენილი მისი გენერალური დირექტორის გიორგი კეკელიძის სახით და მეორეს მხრივ, ი/მ „ლიანა ბინიაშვილი“ (შემდგომში – „მიმწოდებელი“), წარმოდგენილი ლიანა ბინიაშვილის სახით ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე–3 მუხლის პირველი პუნქტის ,,ს[1]" ქვეპუნქტის შესაბამისად შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. ხელშეკრულების საგანია საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკისათვის სხვადასხვა ქარხნული წარმოების მასალის და მათთან დაკავშირებული საგნების (CPV- 44400000) შემოტანა დანართი N1-ის შესაბამისად.

2. ხელშეკრულების საერთო ღირებულება

2.1. ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს 482 (ოთხას ოთხმოცდაორი) ლარს.

2.2. ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს შესყიდვის ობიექტის მიწოდებასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა ხარჯს, მათ შორის საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს (დღგ-ს ჩათვლით).

3. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადა და ადგილი

3.1. მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას უზრუნველყოს შემსყიდველისათვის შესყიდვის ობიექტის შემოტანა ხელშეკრულების გაფორმებიდან 2019 წლის 6 სექტემბრის ჩათვლით.

3.2. შესყიდვის ობიექტის მიწოდება უნდა განხორციელდეს შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, ლადო გუდიაშვილის ქ.N7.

4. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

4.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში - ლარში.

4.2. პროდუქციის გადაცემა დასტურდება მხარეთა მიერ ხელმოწერილი შესაბამისი საანგარიშსწორებო დოკუმენტაციის საფუძველზე.

4.3. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება მხარეთა მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული მისაწოდებელი პროდუქციის დამადასტურებელი დოკუმენტაციის წარმოდგენიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

5. შესყიდვის ობიექტის ხარისხი

5.1. ხელშეკრულების ფარგლებში შემოტანილი შესყიდვის ობიექტი უნდა შეესაბამებოდეს ხელშეკრულების პირობებს და აკმაყოფილებდეს შემსყიდველის მიერ განსაზღვრულ მოთხოვნებს.

6. შესყიდვის ობიექტის მიღება–ჩაბარების წესი

6.1. შესყიდვის ობიექტი ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ შესაბამისი საანგარიშსწორებო დოკუმენტაციის გაფორმების შემდეგ, თუ ხელშეკრულების სპეციფიკური პირობებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული;

6.2. შესყიდვის ობიექტის მიღების ან/და შემოწმების შედეგად გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს მიმწოდებელი;

6.3. შემსყიდველი ვალდებულია ოპერატიულად, წერილობითი სახით, აცნობოს მიმწოდებელს შემოწმების შედეგები, წუნდების მიზეზის მითითებით;

6.4. ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პროდუქციის შემოწმებას, მიღება-ჩაბარებას და შესაბამის საანგარიშსწორებო დოკუმენტაციაზე ხელმოწერას ახორციელებს საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის ადმინისტრაციული მართვის დეპარტამენტის სამეურნეო უზრუნველყოფის განყოფილების უფროსი – კობა ლომიძე.

უფლებამოსილი პირი_____

7.მხარეთა უფლება– მოვალეობები

7.1. შემსყიდველს უფლება აქვს:

– მიმწოდებლისაგან მოითხოვოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობის დაცვა;

7.2. შემსყიდველი ვალდებულია:

– მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;

7.3. მიმწოდებელს უფლება აქვს:

– მოსთხოვოს შემსყიდველს მიწოდებული პროდუქციის ღირებულების ანაზღაურება;

7.4. მიმწოდებელი ვალდებულია:

– დროულად და კეთილსინდისიერად შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება.

8. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

8.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2019 წლის 7 ოქტომბრის ჩათვლით.

9. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისას

9.1. მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;

9.2. ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობის ან ვალდებულების შესრულების ვადების დარღვევის შემთხვევაში, დამრღვევ მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა ვალდებულების შესრულების ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0,1 %–ის ოდენობით.

10. ფორს– მაჟორი

10.1. ფორს-მაჟორი ნიშნავს მხარეებისთვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომელიც არ არის დაკავშირებული შემსყიდველის და ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომელსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი;

10.2. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომელისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ.

11. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

11.1. ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე;

11.2. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

12. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

12.1. თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, შესაბამისმა მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება;

12.2. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით;

12.3. ხელშეკრულებაში დამატებების ან/და ცვლილებების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით;

12.4. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად;

12.5. ორივე მხარე უფლებამოსილია მოშალოს ეს ხელშეკრულება ცალმხრივად თუ მეორე მხარე ვერ უზრუნველყოფს თავის ვალდებულებების ჯეროვან შესრულებას; მხარე ვალდებულია გადაწყვეტილების მიღების განზრახვის შესახებ არანაკლებ 5 კალენდარული დღით ადრე შეატყობინოს მეორე მხარეს;

12.6. ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე;

13. ინტერესთა კონფლიქტი

13.1. შემსყიდველის მხრიდან ხელშეკრულებაზე ხელმომწერი პირი და უფლებამოსილი პირი, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის შესაბამისად, წინამდებარე ხელშეკრულებაზე ხელმოწერებით ადასტურებენ, რომ მათი მონაწილეობა აღნიშნულ შესყიდვაში არ იწვევს ინტერესთა კონფლიქტს.

14. სხვა პირობები

14.1. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, იურიდიული ძალის მქონე ორ იდენტურ ეგზემპლარად, აქედან ერთი ეგზემპლარი გადაეცემა მიმწოდებელს, ხოლო მეორე- შემსყიდველს.

15. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები

შემსყიდველი

საქართველოს პარლამენტის

ეროვნული ბიბლიოთეკა

მისამართი: საქართველო, ქ. თბილისი

ს/კ 0107, ლადო გუდიაშვილის ქ. №7

საიდენტიფიკაციო კოდი: 203845018

სახელმწიფო ხაზინა

ანგ. №200122900

მიმწოდებელი

ი/მ ლიანა ბინიაშვილი

ქ. თბილისი, თაბუკაშვილის ქ.N8.

ს/კ 01011034670

სს თიბისი ბანკი; ბ/კTBCBGE22

ა/ა GE41TB7457436010100007

გენერალური დირექტორი

NATIONAL PARLIAMENTARY LIBRARY OF GEORGIA * 203845018 *

_____

გიორგი კეკელიძე

ი/მ ლიანა ბინიაშვილი

_____

ლიანა ბინიაშვილი

THE NATIONAL PARLIAMENTARY LIBRARY OF GEORGIA

Digitally signed by THE NATIONAL PARLIAMENTARY LIBRARY OF GEORGIA
Date: 2019.08.29 15:53:38 +04'00'

Liana Biniashvili

Digitally signed by Liana Biniashvili
Date: 2019.08.30 15:18:26 +04'00'

დანართი N1

N	საქონლის დასახელება	რაოდენობა	ერთეულის ფასი	საერთო ფასი
1	შლანგი ონკანის	20	5,6	112.00
2	ონკანი	5	15.00	75.00
3	ონკანის გულანი	25	7.00	175.00
4	უნიტაზის სახურავი	10	12.00	120.00
	სულ ჯამი			482.00

გენერალური დირექტორი

_____

გიორგი ვეკელიძე

NATIONAL PARLIAMENTARY LIBRARY OF GEORGIA * 20384501 8 *

ი/მ ლიანა ბინიაშვილი

_____

ლიანა ბინიაშვილი